ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის

სხდომის ოქმი N9

ქ. ლანჩხუთი **19.011.2024 წელი**
12:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე, **გიორგი ხელაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ია მოქია, დარეჯან ბურჭულაძე, ნინო მშვიდობაძე და კარლო წილოსანი.

არ ესწრებოდნენ: კახა ასკურავა და მაკა მშვიდობაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია,** მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი **ირაკლი ხუხუნაიშვილი.** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე** და საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ია ბარამიძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; როლანდ ლაშხია/

2.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N25 განკარგულებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; ირაკლი ხუხუნაიშვილი/

3.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; როლანდ ლაშხია/

4.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

6.სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის

N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 05 აგვისტოს N1101 განკარგულებით შესული ცვლილებებით, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ „საქართველოს 2024 წლის გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამეყო 5000000 ლარი, რომელიც მიიმართება: შიდა გზების რეაბილიტაციაზე 2918522 ლარი, სანიაღვრე არხების რეაბილიტაციაზე 707871 ლარი, ხიდების რეაბილიტაციაზე 647830 ლარი, ნაპირსამაგრების რეაბილიტაციაზე 725777 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N 2402 განკარგულებით მიმდინარე წლის 03 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის N1403 განკარგულებით შესული ცვლილებების შედეგად ქ.ლანჩხუთში ბაგრატიონის, ბესიკის, გოგიჩაიშვილის, ებრალიძის, თამარ მეფის (პირველი ეტაპი) რ. ებრალიძის, საფო მგელაძის და ხოფერიას ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოების დაფინანსება გაიზარდა 144424 ლარით და განისაზღვრა 3650241 ლარი; აქედან, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 3467728 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით 182513 ლარი.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა. მისი განმარტებით, საკრებულოს განკარგულების ცვლილების პროექტი, მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სადაც მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და გეგმიდან ამოღებულ იქნას, მერიის აუქციონატორის მიერ, 27.06.52.438 და 27.06.53.309 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული პრივატიზებული უძრავი ქონება.

ასევე მიზანშეწონილია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 6 ნოემბრის N007694324 და N007693624 დასკვნებით შეფასებული - (ს/კ 27.15.47.696) და (ს/კ 27.15.41.394)

საკადასტრო კოდებზე არსებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, შემდგომში განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში.

კომისიის წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 26377,3 ათას ლარს შეადგენს.

2025 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 13942.0 ათასი ლარით;

2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 8.7 %-ით (1117,3 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1600,0 ათას ლარს;

2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით ქონების გადასახადი 100 ათასი ლარით არის გაზრდილი, რაც გამოწვეულია საწარმოთა ქონების გადასახადის გაზრდით.

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 6450.8 ათასი ლარით, მათ შორის: 2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები 5302.3 ათ ლარით შემცირდა.

2024 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 640,0 ათასი ლარის ოდენობით. 2024 წლის გეგმიური მაჩვენებელი შენარჩუნებულია

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 72,0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული შემოსავლები 2024 წლის საპროგნოზო მაჩვენებლებთან არის შესაბამისობაში.

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 3472.5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია მოსალოდნელი შესრულების გათვალისწინებით.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული (შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან) 200,0 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 120,0 ათასი ლარს. ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 58,1 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა საკუთარი შემოსავლებით შეადგენს 25353.0 ათას ლარს (2024 წლის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 518.3 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მომსახურების ხარჯების ზრდით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 4390.3 ათასი ლარი; მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 641.3 ათასი ლარი;

წყლის სისტემების განვითარება -259.2 ათასი ლარი;

გარე განათება - 961.6 ათასი ლარი;

კეთილმოწყობის ღონისძიებები-242,0 ათასი ლარი;

მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება - 486,3 ათ ლარი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრულია 650,0 ათასი ლარი:

ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა - 100,0 ათასი ლარი.

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2665,0 ათასი ლარი, მათ შორის:

დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 2343,0 ათასი ლარი

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 302,0 ათასი ლარი

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 20,0 ათასი ლარი;

განათლება - 5086,3 ათასი ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლება - 5027,3 ათასი ლარი;

განათლების ხელშეწყობა - 59,0 ათასი ლარი;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 5809,7 ათასი ლარი, მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 3524,6 ათასი ლარი;

კულტურის განვითარების ხელშეწყობა -2253,1 ათასი ლარი;

ახალგაზრდობის მხარდაჭერა -32,0 ათასი ლარი;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1224,6 ათასი ლარი, მათ შორის:

სოციალური პროგრამები - 1224,6 ათასი ლარი;

მმართველობა - 6177,1 ათასი ლარი, მათ შორის:

საკრებულოს დაფინანსება - 1530,3 ათასი ლარი;

მერია - 4178,9 ათასი ლარი;

სარეზერვო ფონდი - 70,0 ათასი ლარი;

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება 68,1 ათასი ლარი, მათ შორის - ძირი 58,1 ათასი ლარი და პროცენტი -10 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 100,0 ათასი ლარი; ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - 2 ათასი ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დაფინანსება განსაზღვრულია 6665.3 ათასი ლარით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 6325.1 ათასი ლარი;

ეკონომიკური საქმიანობა - 5494.6 ათასი ლარი;

გარემოს დაცვა - 2645 ათასი ლარი;

საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 3397.3 ათასი ლარი;

დასვენება, კულტურა და რელიგია-7549.4 ათასი ლარი;

განათლება -5324.2 ათასი ლარი;

სოციალური დაცვა -1224.6 ათასი ლარი;

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ გამოითქვა შენიშვნები და წინადადებები: დეპუტატმა დარეჯან ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ მან მოიპოვა მონაცემები

„რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრიდან“ და „მედალფას“ კლინიკიდან წლის დასაწყისიდან დღემდე, დაახლოებით 150-მდე ადამიანია დაკბენილი ქუჩის ძაღლების მიერ, რომელთაც ჩაუტარდათ შესაბამისი ვაქცინაციის კურსი.

ქუჩის ძაღლები შესამჩნევად მომრავლდა ბოლო პერიოდში, მოქალაქეებისათვის საფრთხის შემცვლელია ქუჩაში გადაადგილება, სამართლიანია მოსახლეობის გულისწყრომა.

მისი თქმით ბევრჯერ უმსჯელიათ ამ საკითხთან დაკავშირებით, ადგილობრივ დონეზე პრაქტიკულად შეუძლებელია მისი მოგვარება, მაგრამ იქნებ მივმართოთ ზემდგომ ორგანოებს თხოვნით, მაწანწალა, უპატრონო, ქუჩის ძაღლების (ცხოველების) თავშესაფრის შექმნის შესახებ. ერთი აღმოსავლეთში, რომ იყოს-ერთი დასავლეთში. ან შეიძლება რეგიონალური თავშესაფარის მოწყობა.

დეპუტატის თქმით, ცნობილია, რომ ბიუჯეტში განსაზღვრულია 10%-იანი სახელფასო მატება მთელი ქვეყნის მასშტაბით და ამის ინიციატორია საქართველოს მთავრობა, რაც მისასალმებელია, აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში, მერიის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში თუ შპს-ებში დასაქმებული ადამიანების დარიცხული ხელფასი მცირეა, ხშირ შემთხვევაში 800 ლარზე დაბალია, თუ არის შესაძლებელი, რომ ასეთი კატეგორიის დასაქმებულებზე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებით მოხდეს 15%-იანი ან 20%-იანი მატება.

ასევე მნიშვნელოვანია ომის ვეტერანების და მათი ოჯახების დახმარების საკითხი, მათი ყოველთვიური დახმარება განსაზღვრულია 50 ლარით. ეს 50 ლარი უკვე დაახლოებით 10 წელია, თუ არის შესაძლებელი, სულ მცირე 20 ლარით მაინც, რომ გავზარდოთ- 70-80 ლარამდე.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია დაინტერესდა ბაღებში ხელფასების მატებით. ასევე აღნიშნა, რომ სუფსის კულტურის სახლში იატაკი იმდენად დაზიანებულია, რომ სახიფათოა ბავშვებისთვის. მისივე თქმით საშიში სიტუაციაა მაწანწალა ძაღლებთან დაკავშირებით.

ია მოქიამ ასევე აღნიშნა, რომ იქნებ მოხერდეს და საახალწლო დეკორაციებისთვის გამოიყოს მიზერული თანხები სოფლებისთვისაც.

სასურველია და აუცილებელიცაა, რომ სუფსაში მოეწყოს სპორტული მოედანი, რისთვისაც არის გამოყოფილი ტერიტორია.

დეპუტატმა ნინო მშვიდობაძემ აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ გაკეთდება რეგიონალური თავშესაფარი ქუჩის ძაღლებისთვის, რომლის პრაქტიკაც არსებობს, ასევე ცხოველების რეესტრი, დაჯარიმდება პატრონი თუ კი ის მიატოვებს ძაღლს და დაავადებული ცხოველების ევთანაზია.

ასევე მან აღნიშნა, რომ შესაცვლელია მუზეუმების სტრუქტურა, კულტურის სახლი საჭიროებს რემონტს, მაგრამ ამ ეტაპზე იქნებ სარეპეტიციო დარბაზის რემონტი მაინც იქნეს გათვალისწინებული პროექტში.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ქალაქის იერსახის გალამაზებისათვის, მიუხედავად აღნიშნულისა დღემდე არ გადაწყდა საკოლმეურნეო ბაზრისა და ავტოსადგურის მოწყობის საკითხი. აღსანიშნავია, რომ საუკეთესო ტერიტორიაა შერჩეული, გამოყოფილი აღნიშნულის განთავსებისათვის. აუცილებელია მუნიციპალიტეტის მერის დიდი ძალისხმევა-რათა გამოიყოს შესაბამისი თანხები წელსვე, გადაწყდეს და დაიწყოს ბაზრისა და ავტოსადგურის მშენებლობა. ასევე მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

კომისიის ყველა წევრმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ წინადადებას.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უკვე ორ წელზე მეტია ვღებულობთ საკრებულოს დადგენილებას ამა თუ იმ ქუჩის, სკვერის სახელდებასთან დაკავშირებით, (ზურაბ თავართქილაძე, დავით ბოლქვაძე, ამბროსი აფხაზავა, თამაზ ტყეშელაშვილი, პაატა პაპიძე, ნიკა იმნაძის და სხვათა) მაგრამ რეალურად დადგენილებები რჩება შეუსრულებელი, განუხორციელებელი.

აუცილებელია ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს შესაბამისი თანხები, რომლებიც მხოლოდ აღნიშნულ პრობლემას მოაგვარებს.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით გამოითქვა შენიშვნები და წინადადებები.

მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტში განსაზღვრულია 10%-იანი სახელფასო მატება მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომლის ინიციატორიც საქართველოს მთავრობაა, რაც მისასალმებელია.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით გამოითქვა შენიშვნები და წინადადებები.

მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ -ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით გამოითქვა შენიშვნები და წინადადებები.

მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე /გიორგი ხელაძე/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის
დასკვნა №9

19.11.2024 წელი
12.00 საათი

მიმდინარე წლის 19 ნოემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; როლანდ ლაშხია/

2.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; ირაკლი ხუხუნაიშვილი/

3.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; როლანდ ლაშხია/

4.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შენიშვნები გარეშე იქნა მიღებული.

მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით გამოითქვა შენიშვნები და წინადადებები.

მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე /გიორგი ხელაძე/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს "იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის" წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

19.11.2024 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ხელაძე	11 50	
2	ია მოქია	11:55	
3	კახაბერ ასკურავა	არ ესწრებოდა	
4	მაკა მშვიდობაძე	არ ესწრებოდა	
5	კარლო წილოსანი	11 53	
6	ნინო მშვიდობაძე	12:00	
7	დარეჯან ბურჭულაძე	11:56	